Embassy of the United States of America

22 აპრილი, 2015

სსიპ თბილისის არქიტექტურის
სამსახურის უფროსს
ქ-ნ. ნ. ღოღობერიძეს

შ.პ.ს. "ბიზნეს ჯგუფი 2010" დირექტორს
ბ-ნ. ს. მეფარიძეს

ქალბატონო ნინო, ბატონო სიმონ,

გაცნობებთ, რომ შ.პ.ს. "ბიზნეს ჯგუფი"-ს მიერ წარმოდგენილი პროექტი კამაზის/ბელაზის ოფისის მშენებლობაზე შეთანხმებულია აშშ-ს საელჩოსთან. პროექტი დამუშავებულია არქიტექტორის ბ. ფხაკაძეს მიერ.

ოფისი განლაგდება დიღომში, ჯ. ბალანჩინის ქუჩაზე, ზონა 01, სექტორი 13, კვარტალი 01, ნაკვეთი 004/085.

შენობის სახურავი უნდა იყოს მკვეთრად დამრეცი და საერთო სიმაღლე არ უნდა აღემატებოდეს 12.730 მეტრს. აღნიშნული ოფისის კიბის უჯრედის მინა, რომელიც უყურებს საელჩოს უნდა იყოს გლუვი (ე.წ. "მატოვი") მთელ სიმაღლეზე.

შესასვლელი, რომელიც უყურებს საელჩოს უნდა იყოს აგრეთვე მოპირკეთებული გლუვი (ე.წ. "მატოვი") მინით მთელ ფართობზე მინიმუმ 2 (ორი) მეტრის სიმაღლეზე.

აივანი არ უნდა უყურებდეს საელჩოს და ისე უნდა იყოს დაპროექტებული, რომ მასზე მდგომ ადამიანს აივნის კუთხიდან არ შეეძლოს საელჩოს ტერიტორიის დანახვა.

პატივისცემით,

ჯეიმს ბაინ
აშშ საელჩოს რეგიონალური
უსაფრთხოების სამსახურის უფროს